საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 771/02-06
20/06/2019

771-02-06-4-201906201424

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ჯორჯაძის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის #220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის #135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' "ო" და ,,პ" ქვეპუნქტების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის N12/04 ერთობლივი ბრძანების, მირიან ტაბიძის 16.07.2018წ. N12153/10-02 განცხადების (ინსტიტუტის დირექტორის ნ. ფარცვანიას თანხმობით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 27 ივნისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით ქ. პოტსდამის (გფრ) მაქს პლანკის ინსტიტუტში, N04/48 გრანტის ფარგლებში, კოლაბორანტ შტეფან ტაისენთან, ხოლო 2019 წლის პირველი სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით, ამავე გრანტის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტთან არსებულ ფიზიკის ინსტიტუტში, ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოების შესასრულებლად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი გიორგი ჯორჯაძე.
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს, გასცეს სამივლინებო 2692.33 ლარი, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის N04/48 გრანტის ხარჯთაღრიცხვაში მივლინებისათვის გამოყოფილი თანხებიდან (დანართი N1).
3. დაევალოს გიორგი ჯორჯაძეს, წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და სამივლინებო ანგარიში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტსა და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

4. გიორგი ჯორჯაძე, როგორც სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, მივლინებული იქნეს ხარჯების ანაზღაურების გარეშე.
5. შეუჩერდეს შრომის ანაზღაურება, 2019 წლის 11 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს გიორგი ჯორჯაძეს.
6. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სამსახური).
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ჯორჯაძის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინების ხარჯთაღრიცხვა:

1. მგზავრობის ხარჯი (ელექტრონული ბილეთი): 300.58 ევრო X 3.0794 ლარი = 925.61 ლარი;
2. სადღეღამისო ხარჯი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქი ბერლინი; 01.09.2019-11.09.2019წწ):

57 ევრო X 10 დღე (ნაწილობრივ) X 3.0995 ლარი = 1766.72 ლარი.

სულ: 2692.33 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: ი. საღარეიშვილი